სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმრიანის საჯარო სკოლა

მე-IX კლასის მოსწავლე- საბა შეყელაშვილი

ტოლერანტობა

მსოფლიოს გარშემო უამრავი ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც საკუთარი

ტრადიციები, კულტურა, რელიგიური მრწამსი და ადათწესები აქვთ. ჩვენ ვალდებულები ვართ პატივი ვცეთ, არამარტო ჩვენს კულტურასა და ადათწესებს, არამედ სხვა ეროვნების ადამიანთა ადათ-წესებსა და კულტურას, ანუ უნდა ვიყოთ ტოლერანტები და უნდა გვიყვარდეს ყველა ადამიანი დედამიწის გარშემო

. უფრო რომ დავკონკრეტდეთ ტოლერანტობა არ არის მხოლოდ განურჩევლობა ან სხვა ერის შეყვარება, ტოლერანტობა არის ადამიანისთვის უფლების მიცემა იცხოვრონ იმ მსოფლმხედველობით, რომელიც მათ სურთ ან აქვს.

ადამიანი ტოლერანტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც მას განსხვავებულობის, და რაღაც ახლის მიღების უნარი და ამავდროულად სურვილი აქვს. თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ეს ყოველივე და ვერც ტოლერანტებს ვუწოდებთ მათ. ნათქვამია „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ მოგექცნენ შენ.“ ეს სახარებისეული სიტყვები მნიშვნელოვნად უკავშირდება ადამიანის იმ ქმედებებს, რომლითაც იგი სხვისდამი პატივისცემას, ლოიალობასა და სიყვარულს გამოხატავს. ჩემს გარშემო ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანები ვერ ან არ გამოხატავენ ტოლერანტობას სხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა მიმართ და პირიქით ისინი ქსენოფობიურად არიან განწყობილნი. მაგალითად ჩვენს რაიონში, ძალიან ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მათ საკუთარი ტრადიციები და კულტურა აქვთ, თუმცა ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემს რაიონში მცხოვრები ქართველები მათ კულტურას შეურაცხყოფას აყენებენ, ეს ნამდვილად არ არის გასამართლებელი, რადგან ჩემი აზრით, ყველა ადამიანს თანაბრად აქვს უფლება იცხოვროს იმ კულტურის და მრწამსის ერთგულად, რომელიც მას წინაპრებისაგან ერგო.

მინდა გავიხსენო ძალიან საინტერესო ნაწარმოები, რომელიც ამ ზაფხულს მასწავლებლის რჩევით წავიკითხე, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“, სადაც ტოლერანტობის არაჩვეულებრივი მაგალითია წარმოჩენილი, მთავარი პერსონაჟი ალუდა ბრძოლაში დაამარცხებს მუცალს, თუმცა მისი ტოლერანტული დამოკიდებულების გამო, ალუდა მუცალს მარჯვენას არ მოაჭრის და პატივისცემით ყველანაირი წესის დაცვით დაკრძალავს. ეს ძლიერი მაგალითი ცხადყოფს , რომ ტოლერანტობა უმნიშვნელოვანესი თვისებაა ადამიანში.

ხაზგასასმელია, რომ ქართველი ერი ასე თუ ისე მაინც ტოლერანტები ვართ, მაგალითად თბილისში ერთ ტერიტორიაზე შესაძლოა შეგვხვდეს სხვადასხვა რელიგიური ნაგებობა და ამავდროულად აქ მომლოცველი ხალხი ,რომელსაც დიდი პატივით ვეპრყრობით. ტოლერანტული დამოკიდებულება მხოლოდ რელიგიის, კულტურისა და ადათ-წესების პატივისცემაში არ უნდა გამოიხატებოდეს, ადამიანმა პატივი უნდა სცეს სხვა ადამიანის ქცევებს ,დამოკიდებულებებს და რაც მთავარია აზრს. განსხვავებული აზრისა და ქმედებიების მქონე ადამიანებისადმი ,ტოლერანტული დამოკიდებულება ხაზს უსვამს ადამიანის პიროვნული და ზნეობრივი განვითარების მაღალ დონეს.

მე მიმაჩნია რომ, ადამიანის ზნეობრივი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია აღზრდაზე, რადგან თუ პიროვნება სწორად აღზრდილია მას სწორად ეცოდინება, როგრორ უნდა მოექცეს განსხვავებული შეხედულებების, რელიგიისა და კულტურის მქონე ადამიანს. თანამედროვე ქართველი საზოგადო მოღვაწე ბატონი შალვა ამონაშვილი სწორედ ამ სიტყვებს ამბობს: „იქ სადაც იწყება აგრესია, მთავრდება აღზრდა და ადამიანობა“. არასწორად აღზრდილი ადამიანი ვერასდროს გაიაზრებს ტოლერანტობის მნიშვნელობას და რაც არ უნდა ვეცადოთ მისი გამოსწორება, მის გონებაში გამჯდარ არაფრის მომცემ და აგრესიით გაჟღენთილ აზრებს ვერაფერს ვუზამთ. კვლავ ვაჟს ერთ-ერთ ცნობილ პოემას მინდა შევეხო, პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ კიდევ ერთი დიდებული მაგალითია ტოლერანტობისა. ზნეობრივად სწორად აღზრდილმა ჯოყოლამ, რომელიც ეროვნებით ქისტი იყო, ყველანაირი აგრესიის გარეშე მიიღო ხევსურეთის მკვიდრი ზვიადაური, რომელმაც ჯოყოლას ძმა ბრძოლაში მოკლა. ეს კონკრეტული მაგალითიც ცხადყოფს, რომ ძველი დროიდან ადამიანთა დიდი ნაწილი სწორად აზროვნებდა და მათგან განსხვავებულ პიროვნებასაც მათ თანასწორად მიიჩნევდა.

ახლა მოკლედ მინდა თანამედროვეობასაც გავუსვა ხაზი. ძალიან მრავალფერიოვანია ჩვენი ქვეყანა, როგორც ისტორიით და კულტურით ასევე ხალხითაც. ბევრ განსხვავებული ეროვნების მქონე ადამიანს შეხვდებით, რომელთაც განსხვავებული მსოფლმხედველობა, რელიგია, კულტურა ან თუნდაც კანის ფერი აქვს. მათაც ისევე შეუძლიათ ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად ცხოვრება, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს და ეს ფაქტი ძალიან მახარებს, რადგან ქართველ ერი კარგი მასპინძლობითა და დიდი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, სწორედ ეს გვაძლევს ძალას ვიყოთ ტოლერანტები და პატივი ვცეთ ყველა განსხვავებულ ადამიანს ჩვენს გარშემო.

ამრიგად, მე მიმაჩნია რომ ადამიანობა, ზნეობა და სწორად აღზრდა განსაზღვრავს ადამიანის რაციონალურ აზროვნებას და რაციონალური აზროვნება ადამიანს

ეხმარება ყველაფერი სწორად გაიაზროს, მათ შორის ტოლერანტობის მნიშვნელობა, რადგან მნიშვნელოვანია გიყვარდეს ყველა ადამიანი განურჩევლად.